ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სატრანსპორტო სექტორისთვის

- **საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება არ არის რეკომენდირებული თუ:**
  - ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
  - აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
  - მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ- სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

- **დამსაქმებლის ვალდებულებები:**
  - სამუშაოს დაწყების წინ გაკონტროლეთ პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
  - მოახდინეთ დასაქმებულის ტემპერატურის კონტროლი ყოველდღიურად, სამუსაოს დაწყების წინ;
  - შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;
  - უზრუნველყავით თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
    - პირბადე;
    - ხელთათმანი;
    - ბახილები;
    - საჭიროების შემთხვევაში - სახის დამცავი ფარი;
    - სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეც. ტანსაცმელი.
  - სატრანსპორტო საშუალებებში გამოაკარით განცხადებები (არსებობის შემთხვევაში მონიტორებზე) ახალი კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
  - ყველა თანამშრომელსა და დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდეთ ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული პროცედურების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კორონავირუსის გავრცელება სამუშაო გარემოში;
  - უზრუნველყავით თანამშრომლების ხელის დაბანის შესაძლებლობა, შესაბამისი საპნითა და სხვა ჰიგიენური საშუალებებით. ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენეთ სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
  - მიაწოდეთ ინფორმაცია თანამშრომლებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე;
  - თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები;
  - პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყავით დახურული სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
  - გარკვეული პერიოდულობით მოახდინეთ ხშირად გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობისა და სამუშაო ადგილების დეზინფექცია, სატრანსპორტო საშუალებების შიგნით არსებული ინვენტარის სანიტარული დამუშავება;
  - უზრუნველყავით დასაქმებულებისა და მგზავრებისთვის გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება. ასევე გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

- მოაწყვეთ დროებითი დამცავი გამჭვირვალე ბარიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინასთან;
- შეიმუშავეთ იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც COVID-19-ის ნიშნები და/ან სიმპტომები გააჩნიათ. ჩაუტარეთ ტრეინინგები თანამშრომლებს აღნიშნულის განხოციელებაში.

➢ დასაქმებულთა ვალდებულებები

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- სამუშაოს შესრულებისას გამოიყენეთ ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებამდე და მიმდინაეობისას სამუშაო ადგილებისა და ხელსაწყოების დასუფთავებისთვის გამოიყენეთ სადეზინფექციო საშუალებები;
- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლის და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანასა და გაშრობას;
- დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ-სა), როგორც კოლეგებთან, ასევე მომხმარებლებთან ურთიერთობის პროცესში;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი მოათავსეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001